წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი №4

ქ.წალენჯიხა 2020 წლის 28 თებერვალი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია
საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 17 დეპუტატი: თემურ ღვინჯილია, მაია მიქავა, დალი კვარაცხელია, ცოტნე მესხია, დავით ბელქანია, ასმათ კვარაცხელია, ვალერიანე კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, დავით ფიფია, ვლადიმერ კვარაცხელია, ლევან შელია, დათა კუკავა, ბაჩუკი უბილავა, ნონა მიქავა.

საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა: დარეჯან დადიანი, თენგიზ ფიფია, სოლომონ სარია, მანანა ჭანია, კახაბერ ჯოლოხავა, ბაკურ სონგულია, თეა ხასაია,ნონა გუჩუა, ავთანდილ გაბელია,ელგუჯა მესხია, დათა აკობია,ირაკლი ხარჩილავა, გიორგი აბულაძე.

აქედან საპატიო მიზეზით საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა:დარეჯან დადიანი, თენგიზ ფიფია, მანანა ჭანია, თეა ხასაია, ელგუჯა მესხია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი ბესიკ ფარცვანია, მერის პირველი მოადგილე ცოტნე შონია, მერის მოადგილე სევერიანე შეროზია, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 13:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 14: 09 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებმა ცოტნე მესხიამ და დათა კუკავამ დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხში მოითხოვეს დროის დათმობა.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ სხვა შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილი სახით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 17 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (განკარგულება N 4).

დღის წესრიგი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიპალიტეტის საკუთრებაში არსებული არა სასოფლო/სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **გელა სალია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

2.შპს „წალენჯიხის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს" საწესდებო კაპიტალში ცვლილების შეტანის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **გელა სალია**, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების თაობაზე

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **გელა სალია**, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

4.სხვადასხვა

მოისმინეს : 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიპალიტეტის საკუთრებაში არსებული არა სასოფლო/სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 17 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N4).

მოისმინეს: 2. შპს „წალენჯიხის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს" საწესდებო კაპიტალში ცვლილების შეტანის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის ესახებ.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ მერიის შესაბამის სამსახურს მიმართა - შეისწავლონ ფინანსური მდგომარეობა ყველა ის შპს-ების რომელებიც მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაშია და აღნიშნული ინფორმაცია წარუდგინონ საკრებულოს.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 17 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N5).

მოისმინეს: 3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების თაობაზე

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა მაია მიქავამ აღნიშნა, რომ საერთო კრების ოქმებში არის გარკვეული ხარვეზები.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 17 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N6).

მოისმინეს: 4 სხვადასხვა.

საკრებულოს წევრმა ცოტნე მესხიამ აღნიშნა ,რომ გაზიფიცირების შემდეგ წარმოიშვა გარკვეული პრობლემები საკაციოს უბანში, სადაც დაზიანდა წყლის მილი და აღნიშნული უბნის მოსახლეობას არ მიეწოდება სასმელი წყალი. მოხდეს კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრა და ამ პრობლემის მოგვარება.

საკრებულოს წევრმა დათა კუკავამ ისაუბრა გასულ წელს სოფ ფახულანში სოფლის მხადაჭერის პროგრამით განხოციელებული პროექტების ხარვეზებზე.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე **თემურ ღვინჯილია**